საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით)

www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით)

2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0.19%-ით, 58.6 მლნ ლარით შემცირდა და 29.69 მლრდ ლარი შეადგინა. სასესხო პორტფელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 19.5%-ით (3 მლრდ ლარი), ხოლო წინა თვის მაჩვენებელზე 0.6 %-ით (106.2 მლნ ლარი) არის გაზრდილი. აპრილის თვის მონაცემებით საკრედიტო პორტფელი 18.48 მლრდ ლარის ტოლია. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 239 მლნ ლარით (3.4 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხები 115.6 მლნ ლარით (1 პროცენტით) გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 19 პროცენტის ტოლია. გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტით ნომინირებული სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება. მიმდინარე წლის აპრილის თვეში საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე გაიზარდა 0.1 პროცენტული პუნქტით და 15.5 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით ნომინირებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.3 პროცენტი დაფიქსირდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე პროცენტი 1.4%-ით გაიზარდა და წლიურ 21% შეადგინა. საანგარიშო პერიოდში 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განსაზღვრულ სესხებზე 2.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნული ვალუტით განხორციელებულ დაკრედიტებაზე 0.2 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული.

ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან პორტფელთან მიმართებაში 0.2%-ით არის გაზრდილი და 2.38% შეადგინა. წინა თვის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43.2 მლნ ლარით (10.7 პროცენტით) გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების წილი და 445.5 მლნ ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე 17.4%-ით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე 1.8%- ით არის გაზრდილი ვადაგადაცილებული სესხების მაჩვენებლი. რაც შეეხება სასესხო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელს, წინა თვესთან შედარებით 0.55%-ით შემცირდა და უცხოურ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა ჯამური პორტფელის 60.37% შეადგინა.

საბანკო სექტორში განთავსებულმა არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი მაისის მდგომარეობით 16.2 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 132.5 მლნ ლარით ანუ 0.8%-ით მეტია 1 აპრილის მაჩვენებელზე. აპრილში წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები 89.5 მლნ ლარით, 1%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 43 მლნ ლარით, 0.6%-ით არის გაზრდილი. დეპოზიტებზე საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შემცირებულია და 4.1% შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 8.7%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 2.8%. კლება განპირობებულია იურიდიული პირების, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ხარჯზე, ფიზიკური პირებისთვის შეთავაზებულ საპროცენტო განაკვეთებზე მცირედი ზრდა ფიქსირდება. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტების სტრუქტურაში აშშ დოლარის წილი 84.1%, ხოლო ევროსი 13.3% ტოლია. წინა თვესთან შედარებით ევროში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3%-ით არის გაზრდილი, ხოლო აშშ დოლარის 1%-ით შემცირებულია. მთლიანი არასაბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 68.66%-იან ნიშნულზეა რაც მარტის თვის მაჩვენებელზე 0.53%-ით ნაკლებია.

უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკური აგენტების ქცევის ცვლილებაზე, რაც იანვარი-აპრილის დეპოზიტების და სასესხო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებლებზეა ასახული. აღნიშნულ პერიოდში არასაბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 3.22%-ით, ხოლო სასესხო პორტფელის თითქმის 5%-ით არის შემცირებული. 1 მაისის მდგომარეობით უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი ისტორიული მინიმუმის 7.3%-ის ტოლია, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო შეწონილი პროცენტი კი მცირე, თუმცა მაინც ზრდის ტრენდით ხასიათდება. აღსანიშნავია რომ ჯამურ პორტფელთან მიმართებაში ვადაგადაცილებული სესხების წილი მკვეთრად არის გაზრდილი. არსებული მონაცემებით იკვეთება, რომ მოსახლეობას მოკლევადიანი და უცხოური ვალუტით ნომინირებული სესხების მომსახურება ფინანსურად უჭირს.

მიუხედავად იმისა, რომ შემცირებულია ბანკების მთლიანი აქტივების მოცულობა 0.19%-ით, გაზრდილია როგორც დაკრედიტება, ასევე არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე

წელს უცხოური ვალუტით დაკრედიტების შეზღუდვასთან ერთად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 საბაზისო პუნქტით, 7%-მდეა გაზრდილი, რაც სექტორის შესუსტებულ აქტივობაზე აისახება. კომერციული ბანკების საქმიანობის განმსაზღვრელი ინდიკატორების ცვლილება მის სტაბილურობაზე გავლენას არ ახდენს, აპრილის თვის მდგომარეობით სექტორის მიღებულმა წმინდა მოგებამ 37.5 მლნ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ს.ს. „კრედოზე“ საბანკო ლიცენზია გასცა. მიუხედავად ლიცენზირებული საქმიანობისა, ამ ეტაპზე „კრედო ბანკის“ ფინანსური მონაცემები სექტორის ჯამურ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის. საქართველოს საბანკო სექტორი პირველი მაისის მდგომარეობით ისევ 17 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი.

www.sab.ge